განცხადება

კონკურსის ჩატარების შესახებ

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი მიზანია სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ცენტრი ახორციელებს პროფესიულ ტრენინგებს, სხვადასხვა პროგრამებს, იმართება კონფერენციები და სემინარები.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ პოპულარიზაციის, საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის აცხადებს კონკურსს, ვიდეო რგოლების სცენარის მომზადების მიზნით.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს საუკეთესო 2 სცენარი, რომელშიც ასახული იქნება „სქემის“ ზოგადი მიმოხილვა, მისი მიზანი, რაობა და კონკრეტული ინფორმაცია (შედეგი).

საკონკურსო შემოთავაზება:

1. სქემის შესახებ ზოგადი საიმიჯო კლიპი

2. მასწავლებლებისთვის სქემის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის შემცველი კლიპი.

მინიმალური საკონკურსო მოთხოვნები:

კონკურსში მონაწილეთა მიმართ წაყენებულია მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. კონკურსში მონაწილება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს, შეუზღუდავად მისი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;

2. კონკურსანტს უნდა ჰქონდეს 1 წლიანი გამოცდილება სცენარის შექმნის სფეროში.

დაინტერესებულმა პირებმა სცენარი უნდა წარმოადგინონ ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე: tgurgenidze@tpdc.ge; ტელ: 591 81 97 97

არაუგვიანეს 2015 წლის 13 მარტის 18:00 საათამდე. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება. წარმოდგენილი სცენარებიდან საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლინდება 2 გამარჯვებული. თითოეული გამარჯვებული სცენარის ავტორი მიიღებს დარიცხულ 625 ლარს. გამარჯვებულ საკონკურსო შემოთავაზებაზე გავრცელდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საავტორო უფლება.

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს კონკურსანტს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეიტანოს მცირედი კორექტირებები გამარჯვებულ საკონკურსო ნამუშევარში.

საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გამარჯვებულის გამოვლენამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკურის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

კონკურსის ორგანიზატორი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.